ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7488681

ნომერი: AR11092172

თარიღი : 21.05.2025

გაცემის თარიღი : 23.05.2025

გაცნობის თარიღი : 23.05.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ციხისძირის ქუჩა, N 69;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 21 მაისის №AR11092172 განაცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025

წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებით №01.17.11.010.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2025 წლის 27 თებერვლის №7394921 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 25 აპრილიდან 2027 წლის 25 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "თბილაბრეშუმი" (ს/ნ: 200003174).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - შპს "თბილაბრეშუმი"-ს (ს/ნ: 200003174) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „კ3 თაუერ“-ის (ს/ნ: 405580198) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882025482635, მომზადების თარიღი: 07/05/2025 წ.) თანახმად №01.17.11.010.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს "კ3 თაუერ" (ს/ნ: 405580198).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24068291; მომზადების თარიღი: 29/05/2024 წ.), შპს „კ3 თაუერ“-ის (ს/ნ: 405580198) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - კახაბერ კაჩუხაშვილი (პ/ნ: 60801162157). სამსახურში 2025 წლის 9 მაისის AR11090654 განცხადებით წარმოდგენილია კახაბერ კაჩუხაშვილის (პ/ნ: 60801162157) მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N230299171 თარიღი: 09.03.2023 წ.) შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.17.11.010.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "კ3 თაუერ" (ს/ნ: 405580198) და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „კ3 თაუერ“-ის (ს/ნ: 405580198) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებაში და დამკვეთად შპს "თბილაბრეშუმი"-ს (ს/ნ: 200003174) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "კ3 თაუერ" (ს/ნ: 405580198).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 აპრილის №7456774 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.